EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ სასამართლოს HUDOC მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre (www.supremecourt.ge). Permission to re-publish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the Court's database HUDOC.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე მესინა იტალიის წინააღმდეგ (N2)

(განაცხადის ნომერი: 25498/94)

გადაწყვეტილება

28 სექტემბერი 2000 წელი

<u>საბოლოო</u>

28/09/2000

საქმეში მესინა იტალიის წინააღმდეგ (N2),
ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეორე სექცია) შემდეგი შემადგენლობით:

ბატონი ს.ლ. როზაკისი, პრეზიდენტი
ბატონი ბ. კონფორტი
ბატონი გ. ბონელო
ქალბატონი ვ. სტრაზნიცკა
ბატონი პ. ლორენზენი
ბატონი მ. ფიშბახი
ქალბატონი მ. ცაცა–ნიკოლოვსკა, მოსამართლეები,
და ბატონი ე. ფრიბერგი, სექციის რეგისტრატორი,

იმსჯელა განმარტოებით 1999 წლის 8 ივნისს და 2000 წლის 7 სექტემბერს და ამავე დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო იტალიის მოქალაქე ბატონ ანტონიო მესინას (,,განმცხადებელი“) განაცხადი (N25498/94) იტალიის რესპუბლიკის წინააღმდეგ. განაცხადი წარდგენილ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპულის კომისიაში (,,კომისია“) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (,,კონვენცია“) ადრე მოქმედი რედაქციის 25-ე მუხლის თანახმად.
2. იტალიის მთავრობას (,,მთავრობა“) წარმოადგენს აგენტები ბატონი უ. ლენზა და ბატონი ვ. ესპოზიტო.
3. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მის მიმართ დაირღვა ოჯახის პატივისცემის უფლება, რადგან განმცხადებლის პატიმრობაში ყოფნის დროს მისი ოჯახის წევრებს შეეზღუდათ ვიზიტის უფლება. არ იქნა დაცული პატიმრის მიმოწერა, რადგან იგი დაყოვნებული იქნა ციხის ადმინისტრაციის მიერ. ასევე, პატიმრისათვის არ იქნა უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება, იმ ვადის გაგრძლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით როდესაც განმცხადებელი ექვემდებარებოდა ციხის სპეციალურ რეჟიმს.
4. განმცხადებელმა მიმართა სასამართლოს 1998 წლის პირველ ნოემბერს, როდესც ძალაში შევიდა კონვენციის მე–11 ოქმი (მე–11 ოქმის მე–5 მუხლი §2).
5. განაცხადი გადაეცა სასამართლოს მეორე სექციას (სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 52 § 1). სექციაში, პალატის შემადგენლობა, რომელსაც საქმე უნდა განეხილა (კონვენციის 27–ე მუხლი §1) დაკომპლექტდა რეგლამენტის 26–ე მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად.

6. 1999 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით, სასამართლომ განაცხადი გამოაცხადა ნაწილობივ დასაშვებად. [*რეგისტრატურის შენიშვნა:* სასამართლოს ეს გადაწვეტილება ხელმისაწვდომია რეგისტრატურაში.].

7. განმცხადებელმა და მთავრობამ წარმოადგინეს წერილობითი შენიშვნები საქმის გარემოებებთან დაკავშირებით (რეგლამენტი 59, §1). სასამართლომ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ გაიმართებოდა სასამართლო მოსმენა საქმის გარემოებებთან დაკავშირებით (რეგლამენტი 59, §2). თითოეულმა მხარემ წარმოადგინა წერილობითი კომენტარები შენიშვნებთან დაკავშირებით.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

ა. სასამართლო განხილვები

8. 1992 წლის 21 დეკემბერს მარსალას საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით განმცხადებელს მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმის გადახდა, *inter alia* ნარკოტიკებით ვარჭრობისა და მაფიური ტიპის ორგანიზაციის წევრობისთვის. 1993 წლის 23 ნოემბერს ის ექსტრადირებულ იქნა შევიცარიიდან, რათა აღსრულებულიყო სასჯელი. იგი მოთავსებულ იქნა კომოს ციხეში. 1995 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით, რომელიც რეგისტრატურას გადაეცა 1995 წლის 30 მაისს, პალერმოს სააპელაციო სასამართლომ გაათავისუფლა განმცხადებელი ორი ბრალდებისგან და შეუმცირა სასჯელი 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. განმცხადებელმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება 1995 წლის 13 ივლისს, რომელიც 1996 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით არ გაითვალისწინა.

9. 1995 წლის 18 იანვარს კალტანისეტას საოლქო სასამართლოს მოსამართლემ, რომელიც პასუხიმგებელი იყო წინასასამართლო მოკვლევაზე გამოსცა ორდერი განმცხადებლის სასამართლოს წინაშე დაუყოვნებლივ წარდგენის შესახებ. განმცხადებელი ეჭვმიტანილ იქნა სახლმწიფო იურიდიული სამსახურის ოფიცრის მკვლელობაში. იგი ამ ორდერის საფუძველზე დააკავეს იმავე დღეს. განმცხადებელი გათავისუფლებულ იქნა 1998 წლის ივნისში იმავე სასამართლოს მიერ თუმცა, მის წინააღმდეგ სასამართლოში საქმის განხილვა კვლავ მიმდინარეობს.

10. განმცხადებლის მაფიის ტიპის ორგანიზაციის წევრობასთან და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებით საქმის განხილვისას იგი გათავისუფლებულ იქნა პირველი ბრალდებისგან ტრაპანის ასიზთა სასამართლოს 1999 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით.

11. 1995 წლის 26 მაისის, მარსალას რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით განმცადებელს მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, inter alia ნარკოტიკებით საერთაშორისო ვაჭრობაში ფარული მონაწილეობისთვის. 1997 წლის 16 აპრილის პალერმოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სასამართლომ გაათავისუფლა განმცხადებელი ერთი ბრალდებისგან და შეუმცირა საჯელის ზომა სხვა ბრალდებასთან დაკავშირებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთამდე. 1998 წლის 4 დეკემბრის სასამართლოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით არ იქნა მიღებული სასამარლოს მიერ. აღნიშნული გადაწყვეტილება რეგისტრატურას გადაეცა 1999 წლის 25 თებერვალს.
12. განმცხადებელი იხდის 14 წლიან პატიმრობას, რომელიც მას მიესაჯა პალერმოს სააპელაციო სასამართლოს მიერ.

ბ. სპეციალური რეჟიმი

13. იუსტიციის მინისტრის 1993 წლის 26 ნოემბრის ბრძანებით განმცხადებელი ექვემდებარებოდა ციხის სპეციალური რეჟიმს ერთი წლის განმავლობაში. ეს ბრძანება ეფუძნებოდა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფას მაფიიდან და აპლიკანტიდან მომდინარე საფრთხის გათვალისწინებით იმდენად რამდენადაც მას პოლიციის ინფორმაციით კავშირი ჰქონდა მაფიურ წრეებთან. ამას გარდა, აღნიშნული ბრძანება წარმოადგენდა გადახვევას ციხის ადმინისტრაციის შესახებ აქტიდან და აწესებდა შემდეგ შეზღუდვებს:

- ტელეფონზე ხელმისაწვდომობის აკრძლავა;
- სხვა პატიმრებთან საუბრისა და მიმოწერის აკრძლვა;
- მესამე მხარესთან შეხვედრის აკრძალვა;
- ოჯახის წევრების ვიზიტის შეზღუდვა. მაქსიმუმ ერთი ვიზიტი ერთ თვეში ერთი საათის განმავლობაში;
- ფულის გარკვეული რაოდენობის ზემოთ მიღების და გაგზავნის აკრძლავა;
- ციხეში მიიღება მხოლოდ ისეთი ამანათი, რომელშიც მოთავსებულია ტანსაცმელი;
- კულტურული, გასართობი და სპროტული აქტივობების ორგანიზების აკრძალვა;
- პატიმართა წარმომადგენლების არჩევნებში ხმის მიცემის უფლების აკრძლვა ან წარმომადგენლად არჩევის აკრძალვა;
- აკრძალულია ხელით რაიმე საგნის გაკეთება;
- აკრძალულია ისეთი საკვების შეძენა, რომელიც მოსამზადებელია;
- აკრძალულია დღის განმავლობაში 2 საათზე მეტი ხნის გარეთ ჰაერზე გატარება;

14. ამ ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით ციხის ადმინისტრაციის მიერ მიმოწერაზე ცენზურა მოითხოვს იურისდიქციის მქონე სასამართლოს წინასწარ ნებართვას საკითხთან დაკავშირებით.
15. 1993 წლის 26 ნოემბერს კომოს ციხის მმართველმა ტრაპანის ასიზთა სასამართლოს გადასცა განმცხადებლის განცხადება დამატებითი ვიზიტების და სატელეფონო ზარის განხორციელების ნებართვის მისაღებად. 1993 წლის 20 დეკემბერს ასიზთა სასამართლოს პრეზიდენტმა აღნიშნული განცხადება მიიღო.
16. 1993 წლის 29 ნოემბერს კომოს ციხის მმართველმა მიმართა ტრაპანის ასიზთა სასამართლოს განმცხადებლისათვის მიმოწერის შემოწმების შესახებ ნებართვის მიცემის თაობაზე. 1993 წლის 28 ნოემბრიდან განმცხადებელი დაექვემდებარა ციხის სპეციალურ რეჟიმს. 1993 წლის 30 ნოემბერს ტრაპანის ასიზთა სასამართლოს პრეზიდენტმა გასცა ასეთი ნებართვა.
17. განუსაზღვრელ რიცხვში განმცხადებელმა გაასაჩივრა 1993 წლის 26 ნოემბრის ბრძანება აკონას სასამართლოში, რომელიც თავის მხრივ პასუხისმგებელი იყო სასჯელის აღსრულებაზე. განმცხადებელმა გააპროტესტა სპეციალურ რეჟიმში მოთავსება და ამ რეჟიმის გამაღიზიანებელი ბუნება. სასამართლომ არ მიიღი სააპელაციო განაცხადი 1995 წლის განუსაზღვრელ რიცხვში.
18. განმცხადებელი რამდენჯერმე იქნა გადაყვანილი ციხეებში: ტრაპანი, ასკოლი პიჩენო, ტერმირი იმერესი, პიაზონა, პალერმო და პორტო. ხშირად ეს ხდებოდა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის დასწრებოდა სასამართლოს სააპელაციო განხილვებს პალერმოში.
19. 1993 წლის 7 დეკემბერს ტერმირი იმერსეს ციხის მმართველმა მიმართა ტრაპანის ასიზთა და მარსალას რაიონულ სასამართლოებს განმცხადებლისათვის ოჯახის წევრების ვიზის ნებართვის მიცემასთან დაკავშირებით (განმცხადებელი დაქორწინებულია და ჰყავს სამი ქალიშვილი). 1993 წლის 9 დეკემბერს ასიზთა სასამართლოს პრეზიდენტმა ასეთი ნებართვა მისცა ციხის მმართველს.
20. დაუდგენელი თარიღით, ციხის მიერ მასერატას სასამართლოში, იქნა გაკეთებული განცხადება განმხადებლისათვის მიმოწერის შემოწმების ნებართვასთან დაკავშირებით. 1994 წლის 22 აგვისტოს ასეთი შეზღუდვის ნებართვა გასცა მასერატას სასამართლომ 6 თვის ვადით.
21. 1994 წლის 24 აგვისტოს განმცხადებელმა გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება ანკონას და ტრაპაის სასამართლოებში. ამ გასაჩივრების შედეგი სასამართლოსთვის უცნობია.
22. 1994 წლის 29 ნოემბერს იუსტიციის მინისტრმა გამოსცა ბრაძნება, რომლის თანახმად განმცხადებელი კვლავ უნდა დაქვემდებარებოდა ციხის სპეციალურ რეჟიმს 1994 წლის 29 ნოემბრიდან 1995 წლის 28 მაისამდე. აღნიშნული განპირობებული იყო იმ საფუძვლების კვლავ არსებობით, რასაც თავდაპირველად დაეყრდნო ასეთი გადაწყვტილება. შეზღუდვები იყო იგივე, როგორც იუსტიციის მინისტრის წინა ბრძანებაში.

23. 1994 წლის 6 დეკემბერს განმცხადებელმა გასააჩივრა აღნიშნული ბრძანება ანკონას სასამართლოში. იგი ჩიოდა, რომ ექვემდებარებოდა სპეციალურ რეჟიმს და შეეზღუდა ოჯახის წევრების ვიზიტები.

24. 1995 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით ანკონას სასამართლომ არ მიიღო სააპელაციო განაცხადი და დაადგინა, რომ განმცხადებლის სპეციალურ რეჟიმში მოთავსება სამართლიანი იყო და ბრძანება ეფუძნებოდა ადეკვატურ საფუძვლებს. შეზღუდვებთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ციხის ადმინისტრაციის შესახებ აქტის მე-14 ნაწილით განსაზღვრულ მინიმალურ პირობებს ოჯახის წევრების ვიზიტებთან დაკავშირებით ამ შემთხვევაში, უნდა ემოქმედა. შესაბამისად, უარყო შეზღუდვა, ერთი თვის განმავლობაში ერთზე მეტი ვიზისტის აკრძალვის შესახებ და ამის ნაცვლად განსაზღვრა განმცხადებლისათვის ოთხი ვიზიტის შესაძლებლობა.

25. 1995 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით განმცხადებელმა გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარე. იგი დაობდა, რომ პირობები, რომელშიც იგი დაკავებისას იმყოფებოდა იყო არაადამიანური და ციხის სპეციალურ რეჟიმში მისი განთავსების შესახებ ბრძანებას არ ჰქონდა ადეკვატური საფუძვლები. აღნიშნული გადაწყვეტილება ასევე გასაჩივრებული იქნა პროკურორის მიერ. 1995 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, რომელიც რეგისტრატურას გადაეცა 1995 წლის 31 ოქტომბერს, სააპელაციო საჩივარი გამოცხადდა დაუშვებლად. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში მხარეებს არ ჰქონდათ სასამართლოში საქმის განხილვის უფლება, რადგან 1994 წლის 29 ნოემბრის ბრძანებამ მოქმედება დაასრულა 1995 წლის 28 მაისს.

26. 1995 წლის 27 მაისის იუსტიციის მინისტრის ბრძანებით ციხის სპეციალური რეჟიმი გაგრძელდა 1995 წლის 26 ნოემბრამდე, რადგან კვლავ არსებობდა ასეთი ზომის მიღების საფუძვლები.

27. 1995 წლის 5 ივნისს განმცხადებელმა გაასაჩივრა იუსტიციის მინისტრის აღნიშნული ბრძანება და მოითხოვა მისი გადაცემა ანკონას სასამართლოსათვის თუ ეს საჭირო გახდებოდა. ის *inter alia* ჩიოდა, რომ არ არსებობდა ციხის სპეციალური რეჟიმის გაგრძელების სამართლებრივი საფუძვლები. ასევე, იგი დაობდა, რომ ვიზიტებთან დაკავშირებული შეზღუდვა, გარეთ ჰაერზე ყოფნის დრო, მოსამზადებელი საკვების ყიდვის აკრძალვა, არ შეესაბამებოდა ციხის ადმინისტრაციის შესახებ აქტის მე-14 quater paragrafi და ეწინააღმდეგებოდა რეაბილიტაციის მიზანს. იგი ითხოვდა, რომ სპეციალური რეჟიმის შესახებ ბრძანება გაუქმებულიყო და განმცხადებელს მისცემოდა ვიზიტის უფლება თავის ცოლთან და ქალიშვილებთან მინით ბარიერის გარეშე და დაკავშირებოდა მათ ტელეფონით. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ იგი სასჯელს იხდიდა იმ ადგილიდან შორს, სადაც იყო მისი ოჯახი და მიმდინარე სასამართლო პროცესები. აღნიშნული სააპელაციო საჩივრის შედეგები სასამართლოსთვის უცნობია.

28. 1995 წლის 24 ნოემბერს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით ციხის სპეციალური რეჟიმის გამოყენება გაგრძლედა 1996 წლის 23 მაისამდე. 1994 წლის 27

ნოემბერს აღნიშნული ბრაძანება განმცხადებლის მიერ გასაჩივრებული იქნა ფლორენცის სასამართლოში.

29. 1996 წლის 21 მაისის ბრაძნებით კი ციხის სპეციუალური რეჟიმის გამოყენება კვლავ გაგრძელდა 6 თვით. ბრძანებაში ასეთი შეზღუდვის საფუძვლად იგივე გარემოებები იქნა მითითებული, რაც წინა ბრძანებებში. 1996 წლის 30 მაისს განმცხადებელმა აღნიშნული ბრძანებაც გაასაჩივრა ფლორენციის სასამართლოში.

30. 1996 წლის 2 ოქტომბერს განმცხადებელმა მიმართა ფლორენციის სასამართლოს, რათა განსაზღვრულიყო მის 1995 წლის 27 ნოემბრისა და 1996 წლის 26 მაისის სააპალაციო განაცხადების სასამართლო განხილვის თარიღი.

31. 1996 წლის 19 ნოემბრის იუსტიციის მინისტრის ბრძანებით კიდევ ერთხელ გახანგრძლივდა განმცხადებლის ციხის სპეციალური რეჟიმი 6 თვის ვადით. ბრძანების საფუძვლები კვლავ იგივე იყო. 21 ნოემბერს განმცხადებელმა გაასაჩივრა აღნიშნული ბრძანება ფლორენციის სასამართლოში. 1997 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით სასამართლომ არ მიიღი სააპელაციო საჩივარი. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას N351/1996 და დაადგინა, რომ ციხის სპეციალური რეჟიმის გახანგრძლივება განმცხადებლის მიმართ იყო სამართლიანი, პოლიციისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე. თუმცა, სასამართლოთვის მიუღებელი იყო სხვა შეზრუდვები, რომლებიც განმცხადებლის მიმართ მოქმედებდა. კერძოდ, ეჭვის ქვეშ დადგა განმცხადებლის რეაბილიტაციის პროგრამა; ოჯახის წევრებთან დაკავშირებული ვიზიტების შეზღუდვა; ყველა ამანათის მიღების შეზღუდვა გარდა ისეთებისა, რომლებშიც მოთავსებული იყო ტანსაცმელი; ისეთი საკვების ყიდვის აკრძალვა, რომელიც მოსამზადებელია; გარეთ, ჰაერზე გასატარებელი დროის შეზღუდვა დღეში 2 საათამდე. განმცხადებელმა აღნშნული გადაწყვეტილება სამართლებრივი კუთხით გაასაჩივრა. 1997 წლის 30 სექტემბერს სასამართლომ დაუსწრებლად განიხილა საჩივარი და იგი დაუშვებლად გამოაცხადა ამავე დღეს. სასამართლომ ამის საფუძვლად აღნიშნა, რომ საჩივარს არ ჰქონდა მიზანი, რადგანაც ბრძანების მოქმედების ვადა გასული იყო.

32. 1997 წლის 4 თებერვალს იუსტიციის მინისტრის ბრაძნებით განმცხადებელს მიეცა უფლება მასთან ყოველთვიურად მოსულიყვნენ ვიზიტით მისი ოჯახის წევრები, დაკავშირებოდა მათ ტელეფონით, მიეღო დამატებით ერთი ამანათი თვეში და ორი სპეციალური ამანათი წელიწადში, ასევე, გამოეყენებინა სამზარეულო.

33. 1997 წლის 19 მაისს იუსტიციის მინისტრმა, ბრძანებით, კიდევ ერთხელ გააგრძელა განმცხადებლის მიმართ სპეციალური რეჟიმის გამოყენება 6 თვით. ამ გადაწყვეტიელბასაც იგივე საფუძვლები ჰქონდა, რაც წინა მსგავს ბრძანებებს. განმცხადებელმა გაასაჩივრა არნიშნული ბრძანება ფლორენციის სასამართლოში. ფლორენციის სასამართლომ, 1997 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით, დაუშვებლად გამოაცხადა სააპალაციო საჩივარი და დაადგინა, რომ ციხის

სპეციალური რეჟიმის გახანრძლივა გამართლებული იყო პოლიციისა და სასამართლო ხელისუფლების მიერ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე. თუმცა, სასამართლომ არ მიიღო შეზღუდვები, რომლებიც განმცხადებლის მიმართ მოქმედებდა. კერძოდ, ეჭვქვეშ იქნა დაყენებული განმცხადებლის რეაბილიტაციის პროგრამა, ოჯახის წევრებთან დაკავშირებული ვიზიტების შეზღუდვა; ყველა ამანათის მიღების შეზღუდვა გარდა ისეთებისა, რომლებშიც მოთავსებული იყო ტანისამოსი; ისეთი საკვების ყიდვის აკრძალვა, რომელიც მოსამზადებელია; გარეთ, ჰაერზე გასატარებელი დროის შეზღუდვა დღეში 2 საათამდე. განმცხადებელმა გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება სამართლებრივი კუთხით, მაგრამ 1998 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად გამოცხადდა. სასამართლომ ამის საფუძვლად აღნიშნა, რომ საჩივარი მოკლებული იყო მიზანს, რადგანაც ამასობაში ბრძანების მოქმედების ვადა გასული იყო.

34. 1997 წლის 29 აგვისტოს განცხადებელმა მიმართა მასერატას სასამართლოს მოსამართლეს და გაასაჩივრა ის რეჟიმი, რომელშიც მოთავსებული იყო. მოსამართლემ, 1997 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაუშვებლად გამოაცხადა აღნიშნული საჩივარი, გადაწყვეტილება კი მომდევნო დღეს გადასცა რეგისტრატურას. მოსამართლემ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიმართ მოქმედი შეზღუდვები დაკისრებული იყო ციხის ადმინისტრაციის მიერ უწყებრივი ბრძანების საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ, იუსტიციის მინიტრის ბრძანების იმპლემენტაციას წარმოადგენდა და კანონიერი იყო. მოსამართლემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრალდებული განსხვავებით მსჯავრდებულისგან არ იღებდა მონაწილეობას რეაბილიტაციის პროგრამაში, გამომდინარე უდანაშაულობის პრეზუმციისა და საკუთარი თავის დაცვის უფლების პრინციპებიდან.

35. იუსტიციის მინისტრის 1997 წლის 21 ნოემბრის ბრძანებით განმცხადებლის ციხის სპეციალური რეჟიმი კვლავ გახანგრძლივდა 6 თვით და ციხის მმართველს დაევალა მიემართა შესაბამისი სასამართლოსათვის განმცხადებლის მიმოწერის ცენზურის ნებართვის მისაღებად. 1997 წლის 23 ნოემბერს ტრაპანის ციხის მმართველმა ასეთი ნებართვის მისაღებად მიმართა ლივორნოს სასამართლოს მოსამართლეს, რომელმაც აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართა იმ მოსამართლეს, რომელიც პასუხიმგებელი იყო განმცხადებლის სასჯელის აღსრულებაზე. ამ უკანასკნელმა კი გამოსცა ბრაძანება განმცხადებლისათვის მიმოწერის ცენზურასთან დაკავშირებით 6 თვის ვადით, რომლის ათვლა დაიწყო 1997 წლის 21 ნოემბრიდან.

36. 1997 წლის 28 ნოემბერს განმცხადებელმა გაასაჩივრა 1997 წლის 21 ნოემბრის ბრძანება ანკონას სასამართლოში, რომელმაც სააპელაციო საჩივარი გადასცა პალერმოს საოლქო სასამართლოს 1997 წლის 1 დეკემბერს. პალერმოს სასამართლომ დაუბრუნა იგი ანკონას სასამართლოს 1998 წლის 2 მაისს, რადგანაც სასამართლოს იურისდიქცია ამ საქმეზე იყო დროებითი (იხ. ქვემოთ §46). 1998 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით ანკონას სასამართლომ სააპელაციო საჩივარი

დაუშვებლად გამოაცხადა და აღნიშნული გადაწყვეტლება გადასცა რეგისტრატურას 1998 წლის 11 მაისს.
37. 1998 წლის 4 თებერვლის იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით გაუქმებულ იქნა გარეთ, ჰაერზე ყოფნასთან დაკავშირებული შეზღუდვა.
38. 1998 წლის 4 თებერვლის იუსტიციის მინისტრი გადაწყვეტილებით განმცხადებელი აღარ უნდა დაქვემდებარებოდა სპეციალურ რეჟიმს.

გ. განმცხადებლის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში და თავის ოჯახში გაგზავნილ მიმოწერაზე ცენზურა

39. რამდენიმე წერილი და შენიშვნები, რომელიც განმცხადებლმა მისი მეუღლის მეშვეობით გაუგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის სამდივნოს პიანოზას, პალერმოს, პორტოს, აზუროს, ასკოლი პიჩენოს და ტრაპანის ციხეებიდან გაიგზავნა შემოწმებული შტამპით. :. ასეთი შემოწმებები გაგრძლედა 1998 წლამდე.
40. განმცხადებლის მიერ მის მეუღლესთან გაგზავნილი წერილები დაექვემდებარა შემოწმებას. განსაკუთრებით, 1997 წლის 19 და 21 ოქტომბერს გაგზავნილი წერილები. განმცხადებელი ამასთან დაკავშირებით ინფორმირებული იქნა 1997 წლის 21 და 28 ოქტომბერს.
41. განმცხადებლის სააპელაციო საჩივრების გაგზავნა უფლებამოსილ სასამართლოში მოწმდებოდა ასევე ციხის ადმინისტრაციის მიერ.

II. შესაბამისი შიდა კანონმდებლობა და პარქტიკა

ა. სპეციალური რეჟიმი

42. ციხის ადმინისტრაციის შესახებ აქტის (კანონი N354, 1975 წლის 26 ივლისი) 41 bis პარაგრაფის მიხედვით, რომელიც შეიცვალა 1992 წლის 7 აგვისტოს N356 კანონით, იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ციხის ჩვეულებრივი რეჟიმის გამოყენების შესახებ, როგორც ეს არის განსაზღვრული 1975 წლის კანონში N354. გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები შეიძლება დაექვემდებაროს სამართლებრივ გადახედვას საჯარო წესრიგის და უსაფრთხოების მიზნებიდან გამოდინარე ისეთ შემთხვევებში, როდესაც ციხის ჩვეულებრივი რეჟიმი არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს.
43. ასეთი ზომა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი მსჯავრდებულია ზემოხსენებული აქტის 4 bis პარაგრაფით გათვალისწინებულ ქმედებებში. ამ მუხლით გათვალისწინებულია დანაშაულები, რომლებიც დაკავშირებულია მაფიის საქმიანობასთან.

44. 1998 წლის 7 იანვრის N11 კანონის მე–6 თავის თანახმად, 41 bis პარაგრაფითგათვალისწინებული სპეციალური რეჟიმის გამოყენება გაგრძელდა 2000 წლის 31 დეკემბრამდე.

45. 41 bis პარაგრაფით გათვალისწინებული ზომები შემდეგია:

– საკვების მომზადებასა და პატიმრებისათვის გასართობი ქმედებების ორგანიზებაში მონაწილეობის მიღების აკრძალვა;
– ვიზიტის აკრძალვა ყველა პირთან, გარდა ოჯახის წევრისა, მასთან მუდმივად მცხოვრები პირისა და ადვოკატისა;
– მაქსიმუმ ორი ვიზიტის და ერთი სატელეფონო ზარის განხორციელების უფლება თვის განმავლობაში;
– პატიმრის ყველა მიმოწერზე ცენზურის დაწესება, გარდა ადვოკატთან განხორციელებული მიმოწერისა;
– დღის განმავლობაში 2 საათზე მეტი ხნით გარეთ, ჰაერზე ყოფნის აკრძალვა;
– არ არის გათვალისწინებული დამატებითი ვიზიტები კარგი ქცევისთვის;
– შეზღუდულია შიდა წესებით გათვალისწინებული პირადი ნივთების ციხის გარედან მიღება;
– აკრძალულია ერთი თვის განმავლობაში 2 ამანათზე მეტის მიღება;
– აკრძალულია ფულის ციხიდან გაგზავნა და მიღება;
– აკრძალულია საშიში ხელნაკეთი ნივთების გამოყენება;

46. ციხის ადმინისტრაციის შესახებ აქტის 14 ter პარაგრაფის თანახმად, გათვალისწინებულია სპეციალური რეჟიმის შესახებ იუსტიციის მინისტრის ბრძანების გასაჩივრება იმ სასამართლოში, რომელიც პასუხისმგებელია სასჯელის აღსრულებაზე. გასაჩივრება დასაშვებია 10 დღის განმავლობაში იმ დღიდან, რაც პატიმარი მიიღებს ბრძანების ასლს. ასეთი საჩივარი არ აჩერებს განაჩენის აღსრულებას. სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღის 10 დღის განმავლობაში. 1998 წლის 7 იანვრის N11 კანონის მე–4 პარაგრაფის თანახმად, საჩივარი უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის ტერიტორიულ იურისდიქციაშიც ხვდება ციხე, სადაც მსჯავდებული იხდის სასჯელს. ამ სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდება საკასაციო სასამართლოში.

47. იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოში განხილულ იქნა საქმე იმასთან დაკავშირებით შეესაბამებოდა თუ არა ეს სიტემა კანონის ურღვევობის პრინციპს, როდესაც ხდება შეზღუდვის დაწესება. სასამართლომ გადაწყვიტა(1993 წლის N349 და 410 გადაწყვეტილებები), რომ 41 bis პარაგრაფი შეესაბამებოდა კონსტიტუციას. სასამართლომ აღნიშნა, რომ რადგანაც ციხის სპეციალური რეჟიმი განსაზღვრულია მინისტრის მიერ, მისი ბრძანების გასაჩივრება იმ სასამართლოში, რომელსაც აქვს გადახედვის უფლებამოსილება, ასეთი ზომების გამოყენების განსაზღვრასა და მათი გამოყენების დადგენაზე, არ წარმოადგენს არაადამინურ მოპყრობას.

48. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუცი სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო კონსტიტუციის მე–15 მუხლის საფუძვლზე, რომ მიმოწერაზე ცენზურის დაწესების უფლებამოსილება არის მხოლოდ სასამართლოს კომპეტენცია.

აღნიშნული მუხლი *inter alia* განსაზღვრავს, რომ მიმოწერაზე ცენზურის დაწესება უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ კონკრეტული საფუძვლების განსაზღვრით. შედეგად, 41 bis პარაგრაფიარ შეიძლება განმარტებულ იქნეს ისე, რომ იგი გულისხმობს იუსტიციის მინისტრის მიერ პატიმრის მიმოწერის მონიტორინგთან დაკავშირებით რაიმე ზომების განხორციელებას.

49. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოები, რომლებიც პასუხიმგებელნი არიან განაჩენის აღსრულებაზე, უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ მინისტრის ბრძანების კანონიერების განხილვით. მათ მიერ, უკანონოდ არ უნდა იქნეს მიტაცებული ადმინისტრაციის უფლებამოსილება განსაზღვროს ის ღონისძიება, რომელიც იქნება გამოყენებული. მეორე მხრივ კი, სასამართლოების პრაქტიკა ისე შორს წავიდა, რომ ისინი განიხილავენ ასევე, კონკრეტული ღონისძიების გამოყენების შესაბამისობას ადმინისტრაციული ხელისუფლების მიზანთან. ამის შედეგი კი, არის ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება, სასჯელის აღსრულებასთან დაკაშირებით აღუსრულებელი რჩება და ეს ქმნის კონფლიქტს ადმინისტრაციასა და სასამართლოებს შორის.

50. საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 14–18 ოქტომბრის N351 გადაწყვეტილებით განისაზღვრა პრინციპი, რომლის მიხედვით, სასამართლოს მიერ გადახედვას ექვემდებარება გამოყენებული ღონისძიების განხორციელების საშუალებები. მათი განხილვისას მხედველობაში მიიღება კონსტიტუციის მიზნები და მასში გარანტირებული ფუნდამენტური უფლებები. უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე შეცვალა თავისი პრაქტიკა, სასამართლოებისათვის უკანონო ღონისძიებებთან დაკავშირებით მიღებული საჩივრის მთლიანად ან ნაწილობრივ არ დაკამაყოფილების შესახებ (იხ. 1996 წლის 12 თებერვლის N6873 და 1996 წლის 1 მარტის N684 გადაწყვეტილებები).

51. 1997 წლის 7 თებერვალს, იუსტიციის სამინისტროს ციხის ადმინისტრირების დეპარტამენტმა, ზემოთხსენებულ გადაწყვეტილებებში მიღებული პრინციპების გათვალისწინებით, მიმართა ციხეების მმართველებს, მოეწყოთ სპეციალური ფლიგელი, სადაც მოთავსებული იქნებოდნენ სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარებული პატიმრები. ეს წერილი *inter alia* შეიცავდა შემდეგ მითითებებს: პატიმრებს მიეცემოდათ უფლება გამოეყენებინათ სამზარეულო; მათთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა სპორტული აქტივობებისთვის და ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი ოთახები; ოჯახის წევრების ვიზიტი შეიძლებოდა ჩანაცვლებულიყო სატელეფონო ზარებით; მინის ბარიერის გამოყენება ვიზიტის დროს კვლავ დაშვებულ იქნა, შედეგად, მნახველების გაჩხრეკის პროცესის სიმკაცრე აღარ იყო საჭირო.

52. საკონსტიტუციო სასამართლომ, 1997 წლის 26 ნოემბერი – 5 დეკემბრის N376 გადაწყვეტილებით დაამტკიცა, რომ 41 bis პარაგრაფი შეესაბამეოდა კონსტიტუციას მიუხედავად, მისი განმარტების ცვლილებისა. სასამართლომ *inter alia* დაადგინა სპეციალური რეჟიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოებას. ასევე,

გადაწყვეტილებები სპეციალური რეჟიმის გაგრძლების შესახებ უნდა ეყრდნობოდეს საკმარის საფუძვლებს, რომელიც დამოუკიდებელი იქნება თავდაპირველად გამოყენებული წესის გამართლებისგან. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ციხის სპეციალური რეჟიმი არ უნდა წარმოადგენდეს არაადამიანურ მოპყრობას და ხელს არ უნდა უშლიდეს პატიმრის რეაბილიტაციას, რაც შეეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 27–ე მუხლს. ასევე, აღნიშნულ იქნა, რომ ციხის ადმინისტრაციის შესახებ აქტის მე–13 მუხლი არასოდეს წყვეტდა მოქმედებას, რომლის თანახმად, მოპყრობა, რომელსაც პატიმარი ექვემდებარება პატივს უნდა სცემდეს მის პიროვნულობას, ხოლო პატიმრის რეაბილიტაციის პროგრამა მომზადებული უნდა იქნეს მის პიროვნებაზე მეცნიერული დაკვირვების და მასთან თანამშრომლობის საფუძველზე.

53. აქტის 27–ე მუხლი ამ შემთხვევაში კვალვ გამოიყენება. იგი უზრუნველყოფს, რომ ციხეებში ორგანიზებული იყოს კულტურული, სპორტული და გასართობი აქტივობები ან სხვა აქტივობები, რომლებიც პატიმრებს საშუალებას მისცემს გამოხატონ თავიანთი ინდივიდუალიზმი რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში. ეს აქტივობები ისე უნდა იქნეს ორგანიზებული, რომ თავიდან არიდებული იყოს პატიმრის კავშირი მაფიასთან ან სხვა დანაშაულებრივ გარემოსთან, საიდანაც იგი წამოვიდა. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპეციუალური რეჟიმი უნდა ემსახურებოდეს პატიმრის ნორმალურ საზოგადოებაში დაბრუნებას. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სპეციალური რეჟიმის გამოყენება პირისადმი საბოლოო გადაწყვეტლების გამოტანამდე არ არღვევს უდანაშაულობის პრეზუმციას. ფაქტია, რომ სპეციალური რეჟიმი ხელს არ უშლის ადრე გათავისუფლებას(იხ. 1993 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს N349 გადაწყვეტილება), რომელის საფუძველია პატიმრის მონაწილეობა კულტურულ, სპორტულ და გასართობ აქტივობებში, როგორც ეს არის განსაზღვრული ციხის ადმინისტრაციის შესახებ აქტის 27–ე მუხლში.

54. 1998 წლის 6 თებერვალს იუსტიციის სამინისტროს ციხის ადმინისტრირების დეპარტამენტმა, საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთხსენებულ გადაწყვეტილებაში მიღებული პრინციპების გათვალისწინებით, მიმართა ციხეების მმართველებს მოეწყოთ სპეციალური ფლიგელი, სადაც მოთავსებული იქნებოდნენ სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარებული პატიმრები. ეს წერილი *inter alia* შეიცავდა შემდეგ მითითებებს:

– გარეთ, ჰაერზე ყოფნის დრო გახანგრძლივდა 4 საათამდე დღის განმავლობაში, მაგრამ ამ დროს უზრუველყოფილი უნდა ყოფილიყო ის, რომ ეს არ გამხდარიყო პატიმრისთვის კონტაქტის დამყარების შესაძლებლობა იმ ხალხთან, რომლებსაც სავარაუდოდ კავშირი აქვთ მაფიასთან;
– გარეთ ყოფნისათვის განკუთვნილი ეზოები მეორე იგლიანოსა და პიზას ციხეები აღჭურვილი უნდა ყოფილიყო სპორტისა და ვარჯიშისათვის;
– თითო ფლიგელში, რომელიც დაეთმო ან უკვე დაკავებულია პატიმრების მიერ სამედიცინო მიზნებისთვის, გამოყოფილი უნდა იყოს ერთი ან მეტი ოთახი

სოციალური, კულტურული ან გასათობი აქტივობებისთვის სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარებული პატიმრებისათვის;
- იმ შემთხვევაში, როდესაც არ იყო შესაძლებელი ციხის შასაბამისად აღჭურვა პატიმრებს უნდა ჰქონოდათ ხელმისაწვდომობა სხვა ციხეებისთვის აღჭურვილ ადგილებზე. ამ შემთხვევაში, გამორიცხული უნდა იყოს პატიმრისთვის ნებისმიერი შესაძლებლობის მიცემა შეხვდეს ან დაუკავშირდეს პირებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მაფიასთან;
- 16 წლის ასაკს ქვემოთ ბავშვების ვიზიტისას შეიძლება არ იქნეს გამოყენებული მინის ბარიერი; თუ ვიზიტს ესწრება სხვა პირიც, მაშინ მინის ბარიერის გარეშე სივრცე განკუთვნილი უნდა იყოს მხოლოდ ბავშვებისთვის და ამ შემთხვევაში ვიზისტის ხანგრძლივობამ არ უნდა გადააჭარბოს ვიზიტის მთლიანი ხანგრძლივობის ერთ მეექვსედს;
- პატიმრებს, რომლებიც ექვემდებარებიან სპეციალურ რეჟიმს უფლება აქვთ მიიღონ ამანათები, რომლებშიც მოთავსებულია საკვები გარდა ისეთი საკვებისა, რომელიც საჭიროებს მომზადებას. ეს განპირობებულია იმით, რომ მათ არ აქვთ სამზარეულოს გამოყენების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უნდა მოამზადონ ცხელი სასმელები ან გაათბონ უკვე მომზადებული საკვები.

ბ. შესაბამისი დებულებები მიმოწერაზე ზედამხედველობის განხორციელებასთან დაკავშირებით

55. 1975 წლის 26 ივლისის N354 კანონის მე–18 მუხლი, რომელიც შეიცვალა 1977 წლის 12 იანვრის N1 კანონის მე–2 მუხლით, განსაზღვრავს, რომ პატიმრის მიმოწერაზე ცენზურის დაწესების უფლება აქვს იმ სასამართლოს, რომლის წინაშეც განიხილება საქმე(იქნება ეს საგამოძიებო სასამართლო თუ ჩვეულებრივი სასამართლო). ეს შეიძლება მოხდეს პირველი ინსტანციის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე ან შემდგომი პროცესების დროს იმ სასამართლოში, რომელიც პასუხისმგებელია განაჩენის აღსრულებაზე. მე–18 მუხლის თანახმად, სასამართლომ, რომელსაც აქვს იურისდიქცია შეუძლია გამოსცეს ბრძანება პატიმრის მიმოწერაზე მონიტორინგის განხორციელების შესახებ, მაგრამ მე–18 მუხლი არ განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც მიღებული უნდა იქნეს ასეთი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს მონიტორინგის განხორციელების მიზეზები.

56. პრაქტიკაში შეზღუდვა ნიშნავს იმ პატიმრის ყველა მიმოწერის შეჩერებას, რომლის მიმართაც არსებობს ასეთი ბრძანება. ამ მიმოწერას შემოწმება/წაიკითხვა ხდება იმ სასამართლო ხელისუფლების მიერ, რომელმაც იგი გამოსცა ან ციხის მმართველის მიერ ან ციხის მმართველის მიერ დანიშნული ადმინისტრაციის თანამშრომლის მიერ. წერილები დანიშნულია ცენზურის აღმნიშვნელი მარკით, რომელიც ადასტურებს, რომ ისინი შემოწმებულია/წაკითხულია (იხ. 1976 წლის 29 აპრილი პრეზიდენტის ბრძანებულება N354, რომელიც N354 კანონის

იმპლემენტაციის საშუალებაა). ზედამხედველობის ეს მექანიზმი არ გულისხმობს სიტყვების ან წინადადებების წაშლას, მაგრამ სასამართლო ხელისუფლებამ შეიძლება გამოსცეს ბრძანება, რომ ერთი ან მეტი წერილი არ უნდა იყოს გაგზავნილი. ამის შესახებ პატიმარი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ინფორმირებული. ბრძანება შეიძლება გამოცემული იქნეს ციხის მმართველის მიერ, რომელმაც თავის მხრივ აუცილებლად უნდა შეატყობინოს ამის შესახებ სასამართლო ხელისუფლებას.

57. ბოლოს, მიმოწერის შემოწმების წინააღმდეგ სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ეს წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს. უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო პრაქტიკით არის დადასტურებული, რომ იტალიის კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვის საშუალებებს ამ კუთხით. ასევე, არ შეიძლება სამართლებრივი კუთხით შეზღუდვის ბრძანების გასაჩივრება, რადგან იგი არ ეხება პატიმრის თავისუფლებას (საკასაციო სასამართლოს 1990 წლის 14 თებერვლის N3141 და 1992 წლის 4 თებერვლის N4687 გადაწყვეტილებები).

58. ციხის ადმინისტრაციის აქტის 35-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ პატიმრებს შეუძლიათ მიმართონ განცხადებით ან საჩივრით შემდეგ პირებს:

- ციხის მმართველს, ციხის ბადრაგებს, ციხის გენერალურ დირექტორს და იუსტიციის მინისტრს;
- მოსამართლეს, რომელიც პასუხიმგებელია მისი განაჩენის აღსრულებაზე;
- სასამართლო და ჯანდაცვის ორგანოებს, რომლებიც ზედამხედველობენ ციხეს;
- რეგიონული საბჭოს პრეზიდენტს; და
- რესპუბლიკის პრეზიდენტს.

სამართალი

I. კონვენციის მე–8 მუხლის სავარაუდო დარღვევა ოჯახის წევრების ვიზიტის შეზღუდვასთან დაკავშირებით

59. განმცხადებელი აცხადებს, რომ დაირღვა მისი ოჯახური ცხოვრების უფლება ოჯახის წევრების ვიზიტების შეზღუდვით და იმ წესებით, რომლებიც ამ საკითხს არეგულირებენ.

60. კონცვენციის მე–8 მუხლი ადგენს:

> ,,1.ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.
>
> 2.დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევის, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის

თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეოისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

61. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირის კანონიერი დაკავება მე–5 მუხლის მიზნებისთვის, თავისი ბუნებით, გულისხმობს პირადი და ოჯახური ცხოვრების შეზღუდვას. თუმცა, პატიმრისთვის მნიშვნელოვანია პატივი სცენ მის ოჯახური ცხოვრების უფლებას და ციხის ადმინისტრაცია დაეხმაროს მას, შეინარჩუნოს ახლო კავშირი თავის ოჯახთან (იხ. *უინასი საფრანგეთის წინააღმდეგ*, განაცხადი N13756/88, 1990 წლის 12 მარტის კომისიის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და ანგარიშები 65, გვ.265).

62. მოცემულ საქმეში განმცხადებელი დაექვემდებარა ციხის სპეციალურ რეჟიმს, რომელიც გულისხმობდა ოჯახის წევრების ვიზიტების რაოდენობის შეზღუდვას(ერთი თვის განმავლობაში არაუმეტეს 2 ვიზიტისა) და აწესებდა ზედამხედველობას ასეთ ვიზიტებზე(პატიმრები მნახველებისგან გამოყოფილი იყვნენ მინის ბარიერით).

სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს შეზღუდვები წარმოადგენს ჩარევას განმცხადებლის ოჯახური ცხოვრების უფლებაში, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე–8 მუხლის პირველი ნაწილით (იხ. *იქსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ,* განაცხადი N8065/77, 1978 წლის 3 მაისის კომისიის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებების და ანგარიშები 14, გვ.246).

63. ასეთი ჩარევა არ წარმოადგენს კონვენციის დარღვევას თუ იგი ,,კანონის შესაბამისად“, მიზნად ისახავს ერთ ან მეტ კანონიერ მიზანს, რომელიც მოცემულია მე–8 მუხლის მე–2 ნაწილში და ,,აუციებელია დემოკარტიულ საზოგადოებაში“.

64. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიმართ უსაფრთხოების ზომა გამოყენებული იქნა 1975 წლის N354 კანონის 41 bis თავისშესაბამისად და ამდენად, გამოყენებულია ,,კანონის შესაბამისად“. ასევე, მიიჩნევა, რომ შეზღუდვა მიზნად ისახავს კანონიერ მიზანს მე–8 მუხლის მე–2 ნაწილის შესაბამისად. კერძოდ, ეს არის საზოგადოებრივი უსაფრთხოება და უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილება.

65. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ იმისათვის, რომ შეზღუდვა აუცილებელი იყოს ,,დემოკრატიულ საზოგადოებაში“ იგი უნდა წარმოადგენდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭროებას და უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის პროპორციული (იხ. სხვა წყაროებთან ერთად, *მაკლეოდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* 1998 წლის 23 სექტემბერი, განჩინებათა ანგარიშები და გადაწყვეტილებები 1998– VII, § 52, გვ.2791).

66. სასამართლო აღნიშნავს, რომ 41 bis პარაგრაფი მიზნად ისახავს პატიმარსა და მის წარმომშობ დანაშაულებრივ გარემოს შორის კავშირის გაწყვეტას იმისათვის, რომ შემცირებულ იქნეს მისი დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან კავშირის რისკი. კონკრეტულად, სასამართლო მიუთიეთებს, რომ როგორც მთავრობამ აღნიშნა სპეციალური რეჟიმის შემოღებამდე მაფიის დაპატიმრებულ წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, შეენარჩუნებინათ პოზიციები დანაშაულებრივ

ორგანიზაციაში, გაეცვალათ ინფორმაცია სხვა პატიმრებთან და ციხის გარეთ და ორგანიზება გაეკეთებინათ სერიოზული დანაშაულის ჩადენისათვის ციხის გარეთ და შიგნით. ამ კუთხით სასამართლო მხდეველობაში იღებს ორგანიზებული დანაშაულის განსაკუთრებულ ბუნებას. განსაკუთრებით მაფიასთან დაკავშირებულ დანაშაულებს, რომლებშიც ოჯახის წევრებმა შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულონ. უფრო მეტიც, კონვენციის წევრ რამდენიმე სახელმწიფოს აქვს უსაფრთხოების უმაღლესი რეჟიმი საშიში პატიმრებისთვის. ეს რეჟიმი გულისხმობს ციხის საზოგადოებისგან პატიმრის განცალკევებას და მკაცრ ზედამხედველობას.

67. სასამართლო მიუთითებს, რომ გონივრულია იტალიის სასამართლოების მიჩნევა, რომ ასეთი ზომები აუცილებელია მიზნის მისაღწევად. ეს შეეხება იმ კრიტიკულ შემთხვევებს, როდესაც იტალიის ხელისუფლებლა იძიებს მაფიასთან დაკავშირებულ საქმეს.

68. თუმცა, სასამართლო კვალავ მიიჩნევს, რომ სპეციალური რეჟიმის გაგრძელებამ დაარღვია განმცხადებლის, კონვენციის მე–8 მუხლით გარანტირებული, უფლება.

69. სასამართლო მიუთითებს, რომ განმცხადებელი სპეციალურ რეჟიმს დაექვემდებარა ოთხ წელიწად–ნახევარი 1993 წლის 26 ნოემბრიდან(იხ. ზემოთ § 13) 1998 წლის 21 მაისამდე(იხ.ზემოთ §38). განმცხადებელი მსჯავდებულ იქნა სერიოზულ დანაშაულებში, რისთვისაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა და რიგ საქმეში კი, იგი მსჯავრდებულია მაფიასთან დაკავშირებულ დანაშაულებში.

70. მთავრობა ამტკიცებს, რომ სპეციალური რეჟიმის გაგრძლების აუცილებლობა განსაკუთრებული ყურადღებით განიხილებოდა შესაბამისი ხელისუფლების მიერ. ამასთან დაკავშირებით სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელი მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ სპეციალური რეჟიმის გაგრძელების შესახებ ბრძანებებში მითითებული საფუძვლები თითქმის ერთნაირია. თუმცა, სასამართლოს არ შუეძლია მხედველობაში არ მიიღოს ის გარემოება, რომ 1993 წლის ნოემბრიდან 1998 წლის მაისამდე განმცხადებელი ეჭვმიტანილ იქნა სახელმწიფოს იურიდიული სამსახურის ოფიცრის მკვლელობაში, რისთვისაც მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა და მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი მაფიის ტიპის ორგანიზაციაში წევრობასთან დაკავშირებით.

71. ამ გარემოებების მხედველობაში მიღებით სასამართლო ეჭვ ქვეშ არ აყენებს მთელი ამ პერიოდის განმავლობაში განმცხადებლისათვის სპეციალური რეჟიმის გამოყენების აუცილებლობას.

72. უფრო მეტიც, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ ეზღუდებოდა ოჯახის წევრების ვიზიტი ზემოხსენებული აქტის 41bis პარაგრაფის თანახმად მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ექვემდებარებოდა სპეციალურ რეჟიმს. 1993 წლის ტრაპანის ასიზთა სასამართლოს 9 და 10 დეკემბრის გადაწყვეტილებებით(იხ. ზემოთ § 15 და 19) პირველად, მას მეუღლის და შვილის დამატებითი ვიზიტების უფლება მიეცა. მოგვიანებით, ანკონას სასამართლოს 1995

წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით (იხ.ზემოთ§ 24) გაუქმებულ იქნა შეზღუდვა ოჯახის წევრების ვიზიტებზე. განმცხადებელს მიეცა 4 ვიზიტის უფლება თვის განმავლობაში. ფლორენცის სასამართლომ 1997 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით კვლავ გააუქმა ასეთი შეზღუდვების დაწესება, რომელიც წარმოდგენილ იქნა 1996 წლის 19 ნოემბრის ბრძანებით. 1997 წლის 4 თებერვალს იუსტიციის მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომ ვიზიტები შეცვლილიყო სატელეფონო ზარით. ასეთი შეზღუდვები კვლავ იქნა წარმოდგენილი 1997 წლის 21 ნოემბრის ბრძანებით (იხ.ზემოთ§35) მაგრამ, შეჩერებულ იქნა 1998 წლის 6 თებერვლის წერილით (იხ.ზემოთ§54), რომელის საკონსტიტუციოა სასამართლოს 1997 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების იმპლემენტაციას ახდენდა.

73. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს გადაყვეტილებები ამტკიციებს იტალიის ხელისუფლების დამოკიდებულებას განმცხადებლისადმი, რომ მან შეინარჩუნოს კავშირი ოჯახთან იმდენად რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. მაშასადამე, ეს გადაწყვეტილებები იცავდა სამართლიან ბალანსს განმცხადებლის უფლებასა და სპეციალური რეჟიმის გამოყენებით მისაღწევ მიზანს შორის.

74. ამ გარემოებების მხედველობაში მიღებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვა აუცილებელია დემოკარატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების და უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით კონვენციის მე–8 მუხლის მე–2 პარაგრაფის შესაბამისად.

გამომდინარე აქედან, ამ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე–8 მუხლის დარღვევას.

II. კონვენციის მე–8 მუხლის სავარაუდო დარღვევა მიმოწერაზე მონიტორინგის განხორციელებისას

75. განმცხადებელი, კონვენციის მე–8 მუხლის შესაბამისად ასაჩივრებდა პიანოზას ციხის ადმინსიტრაციის მიერ, მონიტორინგის გახორციელებას მის მიმოწერაზე ოჯახთან და ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიასთან.

76. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელი ხშირად გადასცემდა ციხის ადმინისტრაციას გასაგზავნად განკუთვნილ დაულუქავ წერილებს, რაც სავსებით გამორიცხავდა მათ კონფიდენციალურობას. უფრო მეტიც, განმცხადებლის ყველა მიმოწერა არ იყო შემოწმებული (მთავრობამ ციტირება მოახდინა განმცხადებლის სააპელაციო მოთხოვნისა, რომელიც მან 1999 წლის 21 ნოემბერს ფლორენსის სასამართლოს გაუგზავნა).

77. საბოლოდ, მთავრობა არ უარყოფს, რომ დაირღვა მე–8 მუხლი. მათ სასამართლოს შეატყობინეს, რომ 1996 წლის 20 ნოემბერს იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის საქმეთა დეპარტამენტმა მოსთხოვა, ციხის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს გადაედგა ნაბიჯები კომისიასთან მიმოწერის ცენზურაზე პრობლემის გადასაჭრელად. 1997 წლის 18 აპრილს ციხის ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა იუსტიციის სამინისტროს წარუდგინა ციხის

ადმინისტრაციის შესახებ აქტის 35–ე მუხლში შესატანი ცვლილებების პროექტი. ცვლილების თანახმად, სტრასბურგის ინსტიტუტები შედიოდა იმ ინსტიტუტების ჩამონათვალში, რომელთანაც პატიმრებს შეეძლოთ დალუქული წერილების გაგზავნა.

78. სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა ,,საჯარო ხელსუფლების ჩარევას“ განმცხადებლის მიმოწერის პატივისცემის უფლებაში, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე–8 მუხლით.

79. ასეთი ჩარევა ეწინააღმდეგება მე–8 მუხლს თუ ის არ არის ,,კანონის შესაბამისი“, ისახავს ერთ ან მეტ კანონიერ მიზანს, რომელიც განსაზღვრულია მე–2 პარაგრაფით და ,,აუცილებელია დემოკარატიულ საზოგადოებაში“ ამ მიზნების მისაღწევად (იხ. *ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ*, დიდი პალატა, N26772/94,§ 179 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-IV).

80. ჩარევის კანონიერებთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიმოწერზე მონიტორინგი ხორციელდებოდა ტრაპანის ასიზთა სასამართლოს თავმჯდომარის (იხ. ზემოთ §16), მასერატას მოსამართლის(იხ. ზემოთ § 20), ტრაპანის მოსამართლის(იზ.ზემოთ § 35)გადაწყვეტილებით. იგი ეფუძნებოდა 1975 წლის N354 კანონის მე–18 პარაგრაფს(იხ. *ლაბიტას საქმე* ზემოთ §180).

81. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მე–18 პარაგრაფი, რომელიც არ მოიცავდა პატიმრის მომოწერაზე მონიტორინგის განხორციელების პერიოდს ან ასეთი ღონისძიების საფუძველს, ასევე, არასაკმარისად ცხადად განსაზღვრავდა საჯარო ხელისუფლების მიერ ასეთი დისკრეციის განხორციელების ფარგლებს ან წესს (იხ. *კალოჯერო დიანა იტალიის წინააღმდეგ*, 1996 წლის 15 ნოემბერი, ანგარიშები1996-V, გვ.1775-76, §§ 29-33 და *დომენიკინი იტალიის წინააღმდეგ*, 1996 წლის 15 ნოემბერი, ანგარიშები1996-V, გვ.1799-800, §§ 29-33).

82. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით არც მთავრობის მიერ ხსენებული(იხ. ზემოთ §77) ციხის ადმინსიტრაციის აქტის 35–ე პარაგრაფის ცვლილებით და არც იუსტიციის სამინისტროს 1999 წლის 23 ივლისის სენატისთვის წარდგენილი კანონროექტი არ ისახავდა მიზნად გამოსაყენებელი სამართლის შეცვლას, რათა შესაბამისობაში მოეყვანა იგი კალოჯერო დიანასა და დომენიკინის საქმეებთან (იხ.*ლაბიტას საქმე* ზემოთ, § 177). უფრო მეტიც, რამდენიმე განაცხადი, რომელიც შეეხება პატიმართა მიმოწერაზე მონიტორინგის განხორციელებას ამჟამად განიხილება სასამართლოში.

83. მოკლედ, განმცხადებლის მიმოწერის პატივისცემის უფლების დარღვევა არ იყო ,,კანონის შესაბამისი“ კონვენციის მე–8 მუხლის მიზნებისთვის. ამ დასკვნის საფუძველზე აღარ არის აუცილებელი განხილულ იქნეს დაკმაყოფილდა თუ არა მე–8 მუხლის მე–2 ნაწილის სხვა პირობები.

ამ შემთხვევაში, დაირღვა კონვენციის ეს დებულება

III.კონვენციის მე–13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

84. გარდა ამისა, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოეყენებინა ეფექტური სამართლებრივის დაცვის საშულება სპეციალური რეჟიმის გამოყენების გაგრძლების შესახებ გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ, რაც არ შეესაბამება კონვენციის მე–13 მუხლს, რომელიც ადგენს:

,,ყველას, ვისაც დაეღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდონოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

85. განმცხადებელი ჩიოდა განსაკუთრებით იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მისი სააპელაციო საჩივრები სპეციალური რეჟიმის გამოყენების გაგრძელების შესახებ ბრძანებებთან დაკავშირებით განიხილებოდა მათი აღძვრიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოქმედება 6 თვეს გრძელდებოდა. ასევე, განმცხადებელს არასოდეს მიუღია საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მის საჩივარს განიხილავდა სამართლებრივი კუთხით მაშინ, როდესაც ბრძანების მოქმედების ვადა გასული იყო.

86. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ მის მიერ საჩივრის წარდგენა სასამართლოში არაეფქტიანი იყო. შემდგომი ბრძანებები სპეციალური რეჟიმის გამოყენების გაგრძელების შესახებ მხედველობაში არ იღებდენენ ადრე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლის მიხედვითაც ზოგიერთი შეზღუდვა გაუქმებული იყო.

87. მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებელს სასამართლოში, ჰქონდა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება და მან ეს საშუალება რამდენჯერმე გამოიყენა. ზოგჯერ წარმატებით.

88. განმცხადებლის საჩივრების სამართლებრივი კუთხით განხილვისას კი მთავრობა ეთანხმება იმას, რომ ისინი დაშუვებლად გამოცხადდა იმიტომ, რომ იმ დროისათვის მინისტრის ბრძანებები უკვე აღარ მოქმედებდნენ. მიუხედავად ამისა, მთავრობამ აღნიშანა, რომ გადაწყვეტილებების სამართლებრივი კუთხით გასაჩივრება წარმოადგენს დამატებითი დაცვის საშუალებას და არ არის არსებითი კონვენციის მე–13 მუხლის მიზნებისთვის.

89. სასამართლო კვალავ იმეორებს, რომ მე–13 მუხლი უზრუნველყოფს ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალების შესაძლებლობას აღსრულებულ იქნეს კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები. რა ფორმითაც უნდა განხორციელდეს, იგი უნდა უზრუნველყოფდეს სამართლებრივ წესრიგს ეროვნულ დონეზე. მაშასადამე, მისი ეფექტიანობა მდგომარეობს იმაში, რომ ადგილობრივ დონეზე, შესაძლებლობა მისცეს უფლებამოსილ ხელისუფლებას გადაწყვიტოს კონვენციასთან დაკავშირებული საჩივრები და უზუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი დაცვის საშუალება(იხ. *სმიტი და გრეიდი გაერთიენებული სამოფოს წინააღმდეგ,* N33985/96 და N33986/96, § 135, ადამიანის უფლებათა ევროპული

სასამართლო1999-VI, *ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ*, დიდი პალატა, N22277/93, § 97, ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლო 2000-VIII).

90. მას შემდეგ, რაც განხილულ იქნა განმცხადებლის არგუმენტები მე–8 მუხლთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში იგი არ წარმოადგენდა დავის საგანს (იხ. სხვა წაყაროებს შორის *ბილი და რაისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1988 წლსი 27 აპრილი, სერია A N131, გვ.23, 25-26, §§ 52, 59,64).

91. სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივარის აღსრულების შემაკავებელი ეფექტის არ არსებობას ეწინააღმდეგება იუსტიციის მინისტრის ბრძანებები სპეციალური რეჟიმის გამოყენების შესახებ. ასეთი სააპელაციო საჩივარი აღძრული უნდა იქნეს 10 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც პატიმარს გადაეცემა ბრძანების ასლი. სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 10 დღეში (იხ. ზემოთ §46). სააპელაციო საჩივარი სამართლებრივი კუთხით ეწინააღმდეგება იმ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც პასუხისმგებელია სასჯელის აღსრულებაზე.

92. სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არის დავა იმასთან დაკავშირებით, რომ იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებების გადახედვის უფლება აქვს იმ სასამართლოს, რომელიც პასუხისმგებელია განაჩენის აღსრულებაზე. ასევე, იმაზე, რომ არ მიიღონ მხედველობაში ის საჩივრები, რომლითაც გადაწყვეტილ იქნა, რომ პატიმრის საჩივრები საფუძვლიანია (იხ.§§ ზემოთ 24, 31 და 330). განმცხადებელი თავის მხრივ ამტკიცებს, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალება ამ შემთხვევაში არაეფექტიანი იყო, რადგან არღვევდა გადაწყვეტილების მიღებისათვის კანონმდებლობით განსაზრვრულ ვადას.

93. მოცემულ საქმეში არსებობს 9 ბრძანება სპეციალური რეჟიმის გამოყენების შესახებ განმცხადებლის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის მიერ ყველა ბრძანება გასაჩივრებული იქნა, არცერთ მათგანზე არ იქნა მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონით გათავლისწინებულ ვადაში. შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების თარიღებია:

– 1994 წლის 6 დეკემბრის სააპელაციო განაცხადზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა 1995 წლის 27 მარტს(სამი თვისა და სამი კვირის დაგვიანებით);

– 1996 წლის 21 ნოემბრის სააპელაციო განაცხადზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა 1997 წლის 11 თებერვალს (დაახლოებით ორი თვისა და სამი კვირის დაგვიანებით);

– 1997 წლის 19 მაისის ბრძანებასთან დაკავშირებით აღძრულ 1997 წლის 29 მაისის სააპელაციო საჩივარზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა 1997 წლის 7 აგვისტოს(დაახლოებით ორი თვისა და სამი კვირის დაგვიანებით);

– 1997 წლის 28 ნოემბერს აღძრულ სააპელაციო საჩივარზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა 1998 წლის 7 მაისს (ხუთი თვისა და ათი დღის დაგვაინებით).

1995 წლის 5 ნოემბრისა და 1998 წლის 7 მაისის საპელაციო საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილება უცნობია.

94. სასამართლო აღიარებს, რომ დრო, რა ვადაშიც განხილულ იქნა სააპეციაო საჩივარი, წარმოშობს ეჭვებს მის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ კონვენციის მე–13 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას წარმოადგენს, მხოლოდ, კანონით განსაზღვრულ ვადის დარღვევა.

95. იმისათვის, რომ განისაზღვროს, გადააქცევს თუ არა განმცხადებლის მიერ აღძრული სააპელაციო საჩივრის განხილვის გადადება სამართლებრივი დაცვის მექანიზმს არაეფექტიანად, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს რამდენიმე გარემოება. კერძოდ, შეზღუდული პერიოდი(ექვსი თვე), რომლის განმავლობაშიც მოქმედებს ბრძანება სპეციალური რეჟიმის გამოყენების შესახებ და ის ფაქტი, რომ იუსტიციის მინისტრის ბრძანება არ იბოჭება რომელიმე სხვა გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია განაჩენის აღსრულებაზე პასუხიმგებელი სასამართლოს მიერ. სასამართლომ, შეიძლება მთლიანად, ან ნაწილობრივ გააუქმოს წინა ბრძნებით გათვალისწინებული შეზღუდვები. ეს ნიშნავს იმას, რომელიმე ბრძანებისათვის კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ იუსტიციის მინისტრს კვალავ შეუძლია გამოსცეს ახალი ბრძანება და მოითხოვოს იმ შეზღუდვების გამოყენება, რომელიც სასამართლომ გააუქმა. სასამართლოს აზრით მოქმედი კანონმდებლობა აწესებს 10 დღიან ვადას იმისათვის, რომ ნაწილობრივ იქნეს გადაწყვეტილება მიღებული. აღნიშნული დაკავშირებულია პატიმრის უფლებებთან დაკავშირებით სპეციალური რეჟიმის გამოყენების სერიოზულობასა და ნაწილობრივ იმასთან, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეზღუდული პერიოდის განმავლობაში არის ძალაში.

96. სასამართლო თავს არ არიდებს იმ დაკსვნის გაკეთებას, რომ სისტემატურად ირღვეოდა კანონით გათვალისწინებული ათ დღიანი ვადა, რაც პრაქტიკულად გამორიცხადვა იუსტიციის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებების გადახედვის შესაძლებლობას. მაგალითად, მოცემულ საქმეში, სასამართლომ სამჯერ არ განიხილა ოჯახის წევრების ვიზიტთან დაკავშირებული შეზღუდვები (იხ.ზემოთ §§ 24,31,33). გადაწყვეტილების მიღების ასეთი გადადების გამო (დაახლოებით შვიდი თვე საერთო ჯამში) განმცხადებელი ექვემდებარებოდა შეზღუდვებს იმაზე მეტი ხნით ვიდრე ეს საჭირო იყო. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც პირველად გამოიყენეს შეზღუდვები, ისინი კვლავ გამეორდა ორი ან სამი თვის შემდეგაც (იხ. ზემოთ §§ 26, 33, 35).

97. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ წარმოადგენს განმცხადებლისათვის ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებას კონვენციის მე–8 მუხლით გარანტირებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის დარღვევისას. ამ დასკვნის შემდეგ აუცილებელი აღარ არის, სასამართლომ დამატებით განიხილოს განმცხადებლის სააპელაციო საჩივრების განსახლვზე სისტემატური უარი სამართლებრივი თვალსაზრისიდან გამომდინარე.

შესაბამისად, სახეზეა კონვენციის მე–13 მუხლის დარღვევა.

IV. კონვენციის 41–ე მუხლის გამოყენება

1. კონვენციის 41–ე მუხლი ადგენს:

,,თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“

99. განმცხადებელი ითხოვს 2000 მილიონ იტალიურ ლირას არამატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის.
100. მთავრობამ განაცხადა, რომ თუ სასამართლო დაადგენს კონვენციის დარღვევას, ეს უკვე წარმოადგენს სამართლიან დაკმაყოფილებას.
101. სასამართლო მთავრობის მსგავსად მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მან კონვენციის დარღვევის დადგენა, თავის მხრივ, წარმოადგენს სამართლიან დაკმაყოფილებას (იხ. ზემოთ *დომენიჩინის და კალოგერო დიანას გადაწყვეტილებები*, გვ.1802, §45, და გვ.1778, §44, შესაბამისად).

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. *ადგენს* ერთხმად, რომ ოჯახის წევრების ვიზიტების შეზღუდვასთან დაკავშირებით არ დარღვეულა კონევნციის მე–8 მუხლი;
2. *ადგენს* ერთხმად,რომ მიმოწერაზე მონიტორინგის განხორციელებით დაირღვა კონვენციის მე–8 მუხლი;
3. *ადგენს* ერთხმად, რომ დაირღვა კონვენციის მე–13 მუხლი;

4. ხუთი ხმით ერთის წინააღმდეგ *ადგენს,* რომ დარღვევის დადგენა წარმოადგენს სამართლიან დაკმაყოფილებას განმცხადებლის მატერიალური ზიანის ასანაზრურებლად.

შესრულებულია ფრანგულ ენაზე და გაცხადებულია წერილობითი სახით 2000 წლის 28 სექტემებრს რეგლამენტის 77–ე მუხლის მე–2 და მე–3 პარაგრაფების შესაბამისად.

ერიკ ფრიბერგი
რეგისტრატორი

ქრისტოს როზაკისი
პრეზიდენტი

კონვენციის 45–ე მუხლის მე–2 პარაგარაფის და რეგლამენტის 77–ე მუხლის მე–2 პარაგრაფის თანახმად, გადაწყვეტილებას თან ახლავს ბატონი ბონელოს ნაწილობრივ განსხვავებული აზრი.

ს.ლ.რ.
ე.ფ

მოსამართლე ბონელოს ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

(თარგმანი)

მე არ ვეთანხმები უმრავლესობის აზრს, რომ კონევენციის მე–8 და მე–13 მუხლების დარღვევის დადგენა წარმოადგენს სამართლიან დაკამაყოფილებას იმ არამატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის, რომელიც მიადგა განმცხადებელს. მე მივიჩნევ, რომ ასეთი ,,არანაზრაურება“ არ შეესაბამება სასამართლოს საქმიანობას და მეტიც ეწინააღდეგება კონვენციის პირობებს, როგორც ეს მე განვიხილე ჩემს ნაწილობრივ განსახვავებულ აზრში საქმეზე *აკვილინა მალტას წინააღმდეგ* (დიდი პალატა, N25642/94,ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო1999-III).